სკრა – ქარელის სარწყავ სისტემას რეაბილიტაცია ჩაუტარდა

4 ივლისი

საქართველოს მელიორაციამ ქარელის მუნიციპალიტეტში სკრა-ქარელის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია განახორციელა. აღდგენილ სისტემაში წყალი გაშვებულია.

პროექტის ფარგლებში:

28.4 კილომეტრამდე სიგრძის მაგისტრალური არხის და წყალგამანაწილებლების რეაბილიტაცია ჩატარდა;

მოეწყო რკინაბეტონის ღარები;

ჰიდროტექნიკური ნაგებობები;

წყალმზომები.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ქ. ქარელის, ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტების 9 სოფლის (ახალსოფელი, სამწევრისი, ქარელი, ხვედურეთი, ქვენაფლავი, ღვლევი, სკრა, ბეთლემი, რიეთი) 3240 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდა. პროექტის ღირებულება 4 მლნ ლარამდეა.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი თენგიზ ნასარიძე საირიგაციო სისტემაზე ჩატარებულ სამუშაოებს შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელ სიმონ გულედანთან ერთად გაეცნო.

არბოს სატუმბი სადგური სრული დატვირთვით მუშაობს

23 ივლისი

საქართველოს მელიორაციამ გორის მუნიციპალიტეტში, მექანიკური სარწყავი სისტემის ავარიული სამუშაოები დაასრულა.

არბოს სატუმბი სადგური სრული დატვირთვით მუშაობს და სოფელ არბოს, ქორდისა და დიცის სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობებს სარწყავი წყალი სტაბილურად მიეწოდება.

ტუმბოს მწყობრიდან გამოსვლამ სოფელ დიცში, ბოლო უბანზე, სარწყავი წყლის მიწოდება შეაფერხა. ამ დროისთვის შეფერხება სრულად აღმოფხვრილია.

ამასთან, მომავალი წლის სარწყავი სეზონისთვის, სატუმბ სადგურზე ტუმბო აგრეგატების დამატებით გაძლიერება და დამოუკიდებელი ხაზის მოწყობაა დაგეგმილი, რაც წყლის მიწოდებასა და რეგულარულად მორწყვას გააუმჯობესებს.

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით აქტიურად ახორციელებს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რაც წყალუზრუნველყოფილი ფართობების გაზრდასა და ფერმერების სტაბილურად წყალმომარაგებას უზრუნველყოფს.

ოთარ შამუგიამ საქართველოს მელიორაციაში სამუშაო შეხვედრა გამართა

26 ივლისი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ და შპს „საქართველოს მელიორაციის“ ხელმძღვანელებმა სამუშაო შეხვედრაზე კომპანიის საქმიანობის 6 თვის ანგარიში შეაჯამეს.

გენერალურმა დირექტორმა, თენგიზ ნასარიძემ მინისტრს სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია გააცნო.

განიხილეს 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების საკითხები, მომავალი წლის ბიუჯეტი და სამომავლო გეგმები. ისაუბრეს რწყვის სეზონის მიმდინარეობაზე.

შეხვედრაზე მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ინფრასტრუქტურული პროექტების დაჩქარებული ტემპით განხორციელების საკითხს.

სოფელ შრომაში სადრენაჟე არხები წესრიგდება

16 აგვისტო

შპს „საქართველოს მელიორაცია“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სადრენაჟე სისტემის აღგენით სამუშაოებს ატარებს.

ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან 25 კილომეტრამდე სიგრძის კოლექტორული და შემკრები არხები იწმინდება, ეწყობა მილხიდები.

საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორი თენგიზ ნასარიძე მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

ჩატარებული სამუშაოები არხის გამტარუნარიანობის გაზრდას უზრუნველყოფს. შედეგად, სოფელ შრომაში 170 ჰექტარი მიწის ფართობი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებას შეიძენს, რაც აღნიშნულ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების შესაძლებლობას აჩენს.

გორის მუნიციპალიტეტში ნადარბაზევის წყალსაცავიდან მკვებავი სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დასრულდა

1 სექტემბერი

საქართველოს მელიორაციამ, გორის მუნიციპალიტეტში, ნადარბაზევის წყალსაცავიდან მკვებავი სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დაასრულა.

შესრულებულ სამუშაოებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ შაყულაშვილი და შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი თენგიზ ნასარიძე გაეცნენ.

განხორციელებული პროექტის ფარგლებში, ჯამში, 14 კილომეტრი სიგრძის წყალგამანაწილებელი არხები მოწესრიგდა; მოეწყო რკინაბეტონის ღარები და სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობა.

პროექტის ღირებულება 2,7 მლნ ლარია. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე სარწყავი სისტემა 30 წელი არ ფუნქციონირებდა.

თეკლათში სადრენაჟე არხების გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

13 სექტემბერი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ სენაკის მუნიციპალიტეტში სადრენაჟე სისტემის მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს.

სოფელ თეკლათში, ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან 3,5 კილომეტრი სიგრძის კოლექტორები და შემკრები არხები იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, არხის გამტარუნარიანობა გაიზრდება, რაც 60 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე და საკარმიდამო ნაკვეთებზე სადრენაჟე მომსახურების აღდგენას უზრუნველყოფს.

მოწესრიგებული სადრენაჟე არხები სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გაზრდას შეუწყობს ხელს.

დამშრობ სისტემაზე მიმდინარე სამუშაოებს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ გადელია, საკრებულოს წევრი საბა ოდიშარია, საქართველოს მელიორაციის დასავლეთ საქართველოს რეგიონალური სამსახურის უფროსი თემურ გაბელაია ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნენ.

სამუშაოები, რომელსაც საქართველოს მელიორაცია საკუთარი ძალებით ახორციელებს დასრულების ეტაპზეა.